ძველ მეტოქეთა მატჩი

მოსკოვი. ”დინამოს” სტადიონი. 4 აგვისტო.

”დინამო” (მოსკოვი) – ”დინამო” (თბილისი).

მოსკოვი: გონტარი, კუზნეცოვი, ნიკულინი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, ნოვიკოვი, ლატიში, მინაევი, რეზნიკი, ტოლსტიხი (მენტიუკოვი), გაზაევი.

თბილისი: მჭედლიძე, ანდღულაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მელიქია (თავაძე), დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ჟვანია (სვანაძე), შენგელია.

მსაჯი: ა. ტემეტევი (უუგოროდი).

გაფრთხილებული არიან ბუბნოვი, ნოვიკოვი, ნიკულინი, ჩივაძე.

დუბლიორები - 1:2. თბილისელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ჟორდანიამ.

ძნელი წარმოსადგენია უფრო პრინციპული და ტრადიციული მეტოქეობა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში, ვიდრე თბილისისა და მოსკოვის დინამოელებს აქვთ ერთმანეთთან. ყოველი მატჩი მოვლენაა, ყოველი შეხვედრა ძალებისა და საერთო შესაძლებლობათა მაქსიმუმის ზღვარზე მიმდინარეობს.

ახლა კი მით უმეტეს: მოსკოველებს ვერ ჰქონდათ საქმე კარგად წლევანდელი ჩემპიონატის სტარტზე, მაგრამ მერე ვითარება შეიცვალა, გუნდმა მკვეთრად გამოასწორა მდგომარეობა და ბოლო 6 ტურში აღებული 12 ქულის წყალობით პირველ სამეულში გადაინაცვლა.

არანაკლები სიძლიერით იბრძვიან თბილისელებიც. ბოლო 9 ტურია, გასვლაზე თუ შინ, ჩვენმა გუნდმა არ იცის რაა მარცხი (5 მოგება, 4 ფრე) და პოტენციური შესაძლებლობებით იგი ქულით უსწრებდა მოსკოვის ”დინამოს”.

ერთი სიტყვით, მატჩი ჩემპიონატის საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა, თუმცა თბილისელებს ის სტიმულიც ჰქონდათ, რომ პირველ წრეში, გაზაფხულზე, მათ შინ წააგეს მოსკოვის ”დინამოსთან”. რევანში, ისიც მეტოქის მინდორზე - ეს ჩვენი გუნდის მიზანი იყო.

მაგრამ მოხდა ის, რომ თბილისელთა შემადგენლობაში მინდორზე ვერ გამოვიდა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მათ შორის შეტევათა ორგანიზატორი ყიფიანი. მისი როლის შესრულება ვერ შეძლო ვერავინ, იმ მომენტებში, როცა მოსკოველთა კართან წარმოებდა იერიში, კომბინაციებს აკლდა სიმწვავე, ზუსტი გადაცემა.

პირველი 10-15 წუთის მანძილზე რამდენადმე უფრო აქტიურად მოქმედებდნენ სტუმრები, კარს აცდა შენგელიას, გუცაევის დარტყმები.

22-ე წუთზე მასპინძლებმა პირველი რეალური შეტევა წარმართეს მეტოქის კართან, თბილისელთა მცველებმა არასწორი პოზიცია დაიკავეს და ღიად დატოვეს ლატიში, რომელმაც კარგად გამოიყენა ეს შანსი, მიიღო მახოვიკოვის გადაცემა და გახსნა ანგარიში - 1:0.

ამ მარცხს სტუმრების რამდენიმე იერიში მოჰყვა. ტაიმის ბოლოს წუთზე გონტარის კარი გადარჩა აშკარა ხიფათს.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა საგრძნობლად მოუმატეს ტემპს, შეტევაში ჩაერთვნენ უკანა ხაზების მოთამაშეებიც, დრო და დრო თითქმის მთელი გუნდი გადადიოდა იერიშზე, მაგრამ არ ჩანდა გადამწყვეტი დარტყმები კარში, ამასთან რამდენიმეჯერ უხეშად ითამაშეს მოსკოველებმა. ბუბნოვის მიერ პირველ ტაიმში მიღებულ გაფრთხილებებს დაემატა ნოვიკოვისა

და ნიკულინის გაფრთხილებებიც. შემდგომში ყვითელი ბარათი დაიმსახურა ჩივაძემაც.

კარგა ხნის მანძილზე სტუმრებს სრული უპირატესობა ჰქონდათ, მოსკოველთა დაცვას სულ უფრო და უფრო უჭირდა მეტოქის შტურმის მოგერიება და, ბოლოს, 67-ე წუთზე, შენგელიას დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ნიკულინს და გავიდა საკუთარ კარში - 1:1.

ამის შემდეგ თბილისელები კვლავ განაგრძობდნენ იერიშებს. მოსკოველებს მხოლოდ ეპიზოდური კონტრშეტევის შესაძლებლობა თუ ჰქონდათ. მატჩის დასასრულამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩებოდა, ორივე გუნდი მთელი ენერგიით მოქმედებდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. თანაკლუბელებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

"ლელო", 5 აგვისტო 1981 წ.